საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე

თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი № 8, საქართველოს პარლამენტის სასახლე

ბრძანება

1/259/23 **04-09-2023**

საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „კ“, „ს“ და „შ“ ქვეპუნქტების, 219-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების შესაბამისად:

1. დამტკიცდეს საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესი (თან ერთვის).
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს პარლამენტის სასახლეში და მიმდებარე ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის რეჟიმის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2016 წლის 30 დეკემბრის №259/3 ბრძანება.
3. ბრძანება ძალაში შევიდეს 2023 წლის 18 სექტემბერს.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

პარლამენტის თავმჯდომარე
შალვა პაპუაშვილი

საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ამ წესის მიზანია საქართველოს პარლამენტის სათანადო ფუნქციონირების ხელშეწყობა საქართველოს პარლამენტის სასახლეში წესრიგისა და უსაფრთხო გარემოს შენარჩუნების, აგრეთვე პარლამენტის სასახლეში მყოფი პირების, სასახლისა და მასში განთავსებული ნივთების ფიზიკური საფრთხისგან დაცვის უზრუნველყოფით.

2. საქართველოს პარლამენტის სასახლე არის ქალაქ თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირის №8-ში მდებარე შენობა და მისი შიდა ეზო.

3. საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხო გარემოს შენარჩუნება ეფუძნება უსაფრთხოებასა და ხელმისაწვდომობას შორის სათანადო ბალანსის დაცვის პრინციპს.

მუხლი 2. საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი სამსახურებრივი მოწმობა და ვიზიტორის საშვი

1. ამ წესის მიზნებისთვის ვიზიტორად მიიჩნევა საქართველოს პარლამენტის სასახლეში მყოფი პირი, რომელიც არ არის საქართველოს პარლამენტის წევრი ან საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი.

2. საქართველოს პარლამენტის წევრი ან საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი საქართველოს პარლამენტის სასახლეში შეიძლება შევიდეს და გადაადგილდეს მხოლოდ საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული, ამ წესის №1 დანართით გათვალისწინებული სამსახურებრივი მოწმობით, შესაბამისი პირობებით.

3. საქართველოს პარლამენტის წევრთა და საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა სამსახურებრივი მოწმობების დამზადებას უზრუნველყოფს საქართველოს პარლამენტის აპარატის ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციური განვითარების დეპარტამენტი ამ წესის №1 დანართის შესაბამისად.

4. ამ წესის №1 დანართის პირველი მუხლის პირველი–მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირები საქართველოს პარლამენტის სასახლეში საკუთარი სამსახურებრივი მოწმობებით დაიშვებიან.

5. ამ წესის №2 დანართით გათვალისწინებული პირები საქართველოს პარლამენტის სასახლეში შედიან იმავე დანართით დადგენილი პირობით.

6. საქართველოს პარლამენტის სასახლეში საპოლიციო, სახანძრო-სამაშველო ან სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო დახმარების გამწევი პერსონალისა და ტექნიკის შესვლაზე თანხმობას გასცემს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

7. საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირთა ნუსხა განისაზღვრება ამ წესის №3 დანართით.

8. ვიზიტორის 1 წლამდე ვადის მქონე საშვს გასცემს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით იმ პირზე, რომელიც არ არის საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომელი, მაგრამ რომელსაც ძირითადი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის სასახლეში რეგულარულად შესვლა ესაჭიროება.

9. ვიზიტორის საშვის მისაღებად პირმა უნდა წარადგინოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პირადობის მოწმობა, პასპორტი ან მართვის მოწმობა).

მუხლი 3. საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის წესი

1. პირი საქართველოს პარლამენტის სასახლეში შეიძლება შევიდეს შესაბამისი მოწმობის წარდგენისა და ლითონის დეტექტორით შემოწმების შემდეგ.

2. საქართველოს პარლამენტის სასახლეში სადემონსტრაციოდ განკუთვნილი ნივთების (ბანერის, პოსტერისა და სხვა), აგრეთვე ხმის გამაძლიერებელი და ხმოვანი სიგნალის მოწყობილობების საქართველოს პარლამენტის აპარატის ნებართვის გარეშე შეტანა დაუშვებელია.

3. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ცეცხლსასროლი იარაღის შეტანა აკრძალულია ყველასთვის, გარდა სახელმწიფო სპეციალური დაცვის ქვეშ მყოფი პირებისა და უცხო ქვეყნების დელეგაციების დაცვის წევრებისა, აგრეთვე სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლებისა.

4. თუ საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემსვლელ პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს იარაღის ტარების უფლება, მაგრამ მასზე არ ვრცელდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოქმედება, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური უზრუნველყოფს აღნიშნული პირის კუთვნილი იარაღის დროებით შესაბამის შემნახველ საცავში შენახვას.

5. აკრძალულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში ცივი იარაღის, ასაფეთქებელი საშუალების, აფეთქებასაშიში ნივთიერების, სხვა ისეთი ნივთის ან ნივთიერების შეტანა, რომლითაც შეიძლება დაირღვეს პარლამენტის სასახლეში არსებული წესრიგი და სამუშაო გარემო ან საფრთხე შეექმნას სასახლეში მყოფ პირებს.

6. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ცხოველის შეყვანა აკრძალულია.

მუხლი 4. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ავტომობილით შესვლისა და დგომის უფლება

საქართველოს პარლამენტის სასახლეში ავტომობილით შესვლისა და დგომის უფლება აქვთ მხოლოდ ამ წესის №2 დანართის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ პირებს.

მუხლი 5. საშვთა ბიურო

1. ვიზიტორის საშვის დაშვება ხდება საშვთა ბიუროში, რომელიც ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით მუშაობს 9:00 საათიდან 21:00 საათამდე, ხოლო დასვენებისა და უქმე დღეებში – 9:00 საათიდან 15:00 საათამდე.

2. ვიზიტორის საშვის დაშვება ხდება სპეციალური ელექტრონული პროგრამის მეშვეობით, რომელიც განთავსებულია ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირის parl.parliament.ge-ზე არსებული პირადი პროფილის ბაზაზე, ან საშვთა ბიუროსთან პირადი ან სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე. აღნიშნულმა პირმა ვიზიტორის საშვი შეიძლება დაუშვას ვიზიტის დღეს.

3. საშვთა ბიუროს არასამუშაო საათებში ვიზიტორზე საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის უფლებას გასცემს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი. საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესულ ვიზიტორებს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური აღრიცხავს რეესტრში, რომელიც მატერიალურად იწარმოება.

4. ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირს საშვის დასაშვებად სპეციალური, კონფიდენციალური კოდი აქვს მინიჭებული.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური უზრუნველყოფს ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირთათვის შესაბამისი კოდების მინიჭებას და სათანადო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას.

6. ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირი ვალდებულია დაიცვას შესაბამისი კოდის კონფიდენციალურობა. ვიზიტორის საშვის საშვთა ბიუროსთან სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე დაშვებისას აღნიშნულმა პირმა უნდა დაასახელოს თავისი სახელი და გვარი და შესაბამისი კოდი.

7. ვიზიტორის საშვი საშვთა ბიუროსთან სატელეფონო კომუნიკაციის საფუძველზე შეიძლება დაშვებულ იქნეს მხოლოდ საშვთა ბიუროს კომპიუტერულ პროგრამაში რეგისტრირებული ნომრიდან დარეკვის შემთხვევაში.

8. ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირი ვალდებულია საშვის დაშვებისას მიუთითოს ვიზიტორის საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის მიზანი: შეხვედრა (საშვის დამშვებ პირთან, მის ხელმძღვანელთან ან მისი სტრუქტურული ერთეულის რომელიმე თანამშრომელთან) ან ღონისძიებაში მონაწილეობა (უნდა მიეთითოს ღონისძიების დასახელება). ვიზიტორის საშვის ღონისძიებაში მონაწილეობისთვის დაშვების უფლება აქვს ამ ღონისძიების ჩატარებისთვის პასუხისმგებელ სტრუქტურულ ერთეულს ან პირს.

მუხლი 6. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში სივრცეების განლაგება

1. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზი დაყოფილია ორ სივრცედ: პლენარული სხდომების სივრცედ და ვიზიტორთა სივრცედ.

2. პლენარული სხდომების სივრცე დაყოფილია შემდეგ სექტორებად:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრთა სექტორი – პლენარული სხდომების სივრცეში ნახევარწრედ განთავსებულია საქართველოს პარლამენტის წევრთა ადგილები;

ბ) სხდომის პრეზიდიუმი – საქართველოს პარლამენტის წევრთა სექტორის მოპირდაპირე მხარეს განთავსებულია სხდომის პრეზიდიუმი, სადაც ადგილებს იკავებენ სხდომის თავმჯდომარე და საქართველოს პარლამენტის აპარატის ის თანამშრომლები, რომლებიც მას ორგანიზაციულ დახმარებას უწევენ. სხდომის პრეზიდიუმიდან მარჯვნივ გამოყოფილია სპეციალური ადგილი საქართველოს პარლამენტის აპარატის იმ თანამშრომლებისთვის, რომლებიც პლენარულ სხდომას ემსახურებიან;

გ) საქართველოს პრეზიდენტის ლოჟა – სხდომის პრეზიდიუმიდან მარცხნივ გამოყოფილია საპატიო ადგილი საქართველოს პრეზიდენტისთვის;

დ) სამთავრობო ლოჟა – სხდომის პრეზიდიუმიდან მარცხნივ, ვიზიტორთა სივრცის ქვეშ გამოყოფილია სპეციალური ადგილი საქართველოს მთავრობის წევრებისთვის, მინისტრების მოადგილეებისთვის, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსისა და საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივნისთვის;

ე) მომხსენებელთა ლოჟა – სხდომის პრეზიდიუმიდან მარცხნივ, ვიზიტორთა სივრცის ქვეშ გამოყოფილია ადგილები იმ მომხსენებლებისთვის, რომლებიც არ არიან ამ პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირები, აგრეთვე მომხსენებელთა თანმხლები პირებისთვის, რომლებიც საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით დაიშვებიან;

ვ) მაღალი თანამდებობის პირებისა და საპატიო სტუმრების ლოჟა – სხდომის პრეზიდიუმიდან მარჯვნივ, ვიზიტორთა სივრცის ქვეშ გამოყოფილია ადგილები საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსისა და მოწვეული საპატიო სტუმრებისთვის, აგრეთვე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 92-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული იმ პირებისთვის, რომელთათვისაც საქართველოს

პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში სპეციალური ადგილი გამოყოფილი არ არის;

ზ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საპატიო ადგილი – სხდომის პრეზიდიუმიდან მარჯვნივ, ვიზიტორთა სივრცის ქვეშ გამოყოფილია საპატიო ადგილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისთვის.

3. ვიზიტორთა სივრცე განთავსებულია საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის მეორე იარუსზე და დაყოფილია შემდეგ სექტორებად:

ა) საქართველოს პარლამენტის აპარატის ლოჟა – ეს ლოჟა განთავსებულია სხდომის პრეზიდიუმიდან მარცხნივ და განკუთვნილია საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლებისთვის, აგრეთვე მომხსენებელთა თანმხლები პირებისთვის, რომლებიც საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით დაიშვებიან;

ბ) სტუმრების ლოჟა – ეს ლოჟა განთავსებულია სხდომის პრეზიდიუმის მოპირდაპირე მხარეს და განკუთვნილია დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებისთვის, უცხო ქვეყნების დელეგაციებისთვის, საქართველოს პარლამენტში საექსკურსიო ტურების მონაწილე პირებისთვის, რომლებსაც თან ახლავთ ტურების ხელმძღვანელები, აგრეთვე პარლამენტში მყოფი სხვა სტუმრებისთვის;

გ) ჟურნალისტების ლოჟა – ეს ლოჟა განთავსებულია სხდომის პრეზიდიუმიდან მარჯვნივ და განკუთვნილია საქართველოს პარლამენტში ჟურნალისტური საქმიანობის განსახორციელებლად აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტებისთვის.

4. ვიზიტორის საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის ვიზიტორთა სივრცეში შესვლისა და სხდომაზე დასწრების საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის უფროსი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რის შესახებაც წერილობით ეცნობება საქართველოს პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურს.

5. საქართველოს პარლამენტში მყოფი ოფიციალური დელეგაციის ან სხვა სტუმრის საქართველოს პარლამენტის სასახლესა და საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის სტუმრების სივრცეში შესვლის საკითხს წყვეტს საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის უფროსი სხდომის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, რის შესახებაც წერილობით ეცნობება სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა და საქართველოს პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურს.

6. საქართველოს პარლამენტის წევრი საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის ყველა სივრცეში დაიშვება.

7. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია, საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის სპეციფიკიდან ან უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ერთჯერადად შეცვალოს საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში ამ მუხლით განსაზღვრული სივრცეების განლაგება.

მუხლი 7. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ვიზიტორის ქცევის წესი

1. ვიზიტორი ვალდებულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში დაიცვას სიმშვიდე და წესრიგი, თავი შეიკავოს ისეთი ქმედებისგან, რომელმაც შეიძლება ხელი შეუშალოს საქართველოს პარლამენტის საქმიანობას და საქართველოს პარლამენტში მიმდინარე ღონისძიების მსვლელობას.

2. ვიზიტორს ეკრძალება საქართველოს პარლამენტის სასახლეში ტრანსპარანტის გამოფენა და საინფორმაციო მასალის დარიგება, აგრეთვე სადემონსტრაციოდ განკუთვნილი მასალის (პლაკატის, ბანერის, წარწერისა და სხვა) გაკვრა ან სხვაგვარად განთავსება.

3. ვიზიტორის ჩაცმულობა საქართველოს პარლამენტის სასახლეში არსებულ სამუშაო გარემოს უნდა შეესაბამებოდეს.

4. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ჟურნალისტური საქმიანობის აკრედიტაციის გარეშე განხორციელება დაუშვებელია.

5. ვიზიტორს ეკრძალება საქართველოს პარლამენტის წევრებისთვის ბრიფინგის ჩასატარებლად განსაზღვრულ სივრცეში ჟურნალისტებთან კომუნიკაცია საქართველოს პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის თანხმობის გარეშე.

6. ვიზიტორი ვალდებულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში ვიზიტორის მოწმობა გამოსაჩენ ადგილას ატაროს.

7. ვიზიტორი ვალდებულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის მიზნის ამოწურვისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს ვიზიტორის საშვის მოქმედების დღის 24:00 საათისა, დატოვოს პარლამენტის სასახლე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საპარლამენტო ღონისძიება, რომელსაც იგი ესწრება, აღნიშნული დროის შემდეგაც გრძელდება.

8. ვიზიტორი ვალდებულია საქართველოს პარლამენტის სასახლეში დაემორჩილოს სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატურის მითითებებს.

9. საქართველოს პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატური უფლებამოსილია ამ წესის დარღვევის შემთხვევაში მოსთხოვოს პირს მისი დარღვევის შეწყვეტა, ხოლო აღნიშნული მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში – საქართველოს პარლამენტის სასახლის დატოვება.

მუხლი 8. უსაფრთხოების დონეები

1. საქართველოს პარლამენტის სასახლეში მყოფი პირებისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნისა და სამუშაო პროცესისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილების მიზნით პარლამენტის სასახლეში მოქმედებს უსაფრთხოების 3 დონე. უსაფრთხოების დონის ამოქმედებისა და გაუქმების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.

2. უსაფრთხოების დონეებია:

ა) წითელი დონე – ბუნებრივი კატასტროფის, საქართველოს პარლამენტის სასახლეზე თავდასხმის ან სხვა მყისიერი საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში, რომელიც საშიშროებას უქმნის პარლამენტის სასახლეში მყოფი პირების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, შეიძლება გამოცხადდეს უსაფრთხოების წითელი დონე. უსაფრთხოების წითელი დონის გამოცხადების შემთხვევაში ხორციელდება საქართველოს პარლამენტის სასახლეში მყოფი პირების ევაკუაცია. ევაკუაციის დროს საქართველოს პარლამენტის სასახლეში მყოფი ყველა პირი, გარდა საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მიერ საფრთხის სპეციფიკისა და მისი თავიდან აცილების საჭიროების შესაბამისად განსაზღვრული პირებისა, ვალდებულია დატოვოს პარლამენტის სასახლე;

ბ) ყვითელი დონე – თუ არსებობს საქართველოს პარლამენტის სასახლეში სამუშაო გარემოს ან/და უსაფრთხო გარემოს დარღვევის რისკი, შეიძლება გამოცხადდეს უსაფრთხოების ყვითელი დონე. უსაფრთხოების ყვითელი დონის მოქმედების პერიოდში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით შეიძლება დაწესდეს შემდეგი შეზღუდვები ცალ-ცალკე ან ერთად:

ბ.ა) ვიზიტორებს შეეზღუდოთ საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლა. ამ შეზღუდვასთან ერთად შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის სასახლეში მყოფი ვიზიტორების მიერ პარლამენტის სასახლის დატოვება;

ბ.ბ) საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის უფლება მიეცეთ მხოლოდ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის მიერ დაშვებული ვიზიტორის საშვის მქონე ვიზიტორებს, რომელთა პარლამენტის სასახლეში შესვლაც აუცილებელია საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებისთვის;

ბ.გ) შეიზღუდოს ჟურნალისტის სპეციალური აკრედიტაციის გაცემა ან/და აკრედიტაციის მქონე ჟურნალისტს შეეზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლა;

ბ.დ) შეიზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში ავტომობილით შესვლა ან/და დგომა;

გ) მწვანე დონე – თუ არ არის გამოცხადებული უსაფრთხოების წითელი ან ყვითელი დონე, საქართველოს პარლამენტის სასახლეში მოქმედებს უსაფრთხოების მწვანე დონე, როდესაც სპეციალური შეზღუდვები დაწესებული არ არის.

3. საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების წითელი დონე მოქმედებს მის გაუქმებამდე, ხოლო ყვითელი დონე – წინასწარ დადგენილი ვადით.

4. საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების ყვითელი დონის მოქმედების პერიოდში საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით შეიძლება შეიზღუდოს პარლამენტის სასახლის სხვადასხვა სივრცეში გადაადგილება.

მუხლი 9. ვიზიტორის მიერ ამ წესის დარღვევა

ვიზიტორის მიერ ამ წესის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე უფლებამოსილია დარღვევის სიმძიმისა და მისი გამეორების რისკის შეფასების საფუძველზე განახორციელოს პრევენციული ღონისძიება, კერძოდ, ვიზიტორს შეუზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლა 1 წლამდე ვადით. ეს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული აქტის გასაჩივრებისთვის დადგენილი წესით.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის №1/259/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესის“

დ ა ნ ა რ თ ი №1

საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი სამსახურებრივი მოწმობის, აკრედიტაციისა და საშვის ნიმუშები

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის წევრისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლის სამსახურებრივი მოწმობების ნიმუშები

1. საქართველოს პარლამენტის წევრის სამსახურებრივი მოწმობის ნიმუში:

2. საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსისა და მისი მოადგილეების, პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსის, პარლამენტის აპარატის დეპარტამენტების უფროსებისა და მანდატურის სამსახურის მანდატურთუხუცესის, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსის, პარლამენტის კვლევითი ცენტრის დირექტორის, ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარისა და საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორის სამსახურებრივი მოწმობის ნიმუში:

3. საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეების (გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირებისა), აგრეთვე საქართველოს პარლამენტის ფრაქციებისა და პოლიტიკური ჯგუფების აპარატების, საგამოძიებო და

სხვა დროებითი კომისიების აპარატებისა და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების თანამშრომლების სამსახურებრივი მოწმობის ნიმუში:

მუხლი 2. ჟურნალისტის აკრედიტაციისა და ვიზიტორის საშვის ნიმუშები

1. საპარლამენტო ჟურნალისტის ერთწლიანი აკრედიტაციის ნიმუში:

2. ჟურნალისტის სპეციალური აკრედიტაციის ნიმუში:

3. ვიზიტორის 1 წლამდე ვადის მქონე საშვის ნიმუში:

4. ვიზიტორის ერთჯერადი საშვის ნიმუში:

5. საქართველოს პარლამენტში საექსკურსიო ტურის მონაწილე ვიზიტორის საშვის ნიმუში:

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის №1/259/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესის“

დ ა ნ ა რ თ ი №2

საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესვლის, საქართველოს პარლამენტის კუთვნილი ავტოსადგომით სარგებლობისა და საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის პლენარული სხდომების სივრცეში შესვლის უფლების მქონე პირთა სია

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ყველა შესასვლელიდან შესვლის უფლების მქონე პირები

საქართველოს პარლამენტის სასახლეში ყველა შესასვლელიდან დაიშვებიან შემდეგი პირები:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრები;

ბ) სახელმწიფო-პოლიტიკური და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირები, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები – სამსახურებრივი მოწმობებით, საქართველოს პარლამენტის მიერ გაცემული საშვის გარეშე:

ბ.ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ბ.ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

ბ.გ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;

ბ.დ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

ბ.ე) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

ბ.ვ) საქართველოს მინისტრები და სახელმწიფო მინისტრი;

ბ.ზ) საქართველოს მინისტრებისა და სახელმწიფო მინისტრის მოადგილეები;

ბ.თ) საქართველოს სახალხო დამცველი;

ბ.ი) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

ბ.კ) გენერალური აუდიტორი;

ბ.ლ) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

ბ.მ) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი;

ბ.ნ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

ბ.ო) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი;

ბ.პ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური;

ბ.ჟ) საქართველოს გენერალური პროკურორი;

ბ.რ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;

ბ.ს) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;

ბ.ტ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;

ბ.უ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

ბ.ფ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და წევრები;

ბ.ქ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე და წევრები, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და წევრები;

ბ.ღ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

ბ.ყ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ბ.შ) საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩები უცხო ქვეყნებში;

ბ.ჩ) სპეციალური საგამოძიებო სამსახურის უფროსი;

ბ.ც) პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი;

ბ.ძ) საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის პროტოკოლის განყოფილების მიერ საპროტოკოლო ღონისძიების ფარგლებში დაშვებული პირები;

გ) საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები:

გ.ა) პარლამენტის აპარატის უფროსი და მისი მოადგილეები;

გ.ბ) პარლამენტის აპარატის დეპარტამენტების უფროსები;

გ.გ) პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატურთუხუცესი;

გ.დ) პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი;

გ.ე) პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის თანამშრომლები;

გ.ვ) პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეებისა და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის სამდივნოების უფროსები;

გ.ზ) პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის საჯარო მოსამსახურეები;

გ.თ) პარლამენტის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ღონისძიებათა დაგეგმვის განყოფილების თანამშრომლები.

მუხლი 2. საქართველოს პარლამენტის სასახლეში ავტომობილით შესვლისა და დგომის უფლების მქონე პირები

საქართველოს პარლამენტის სასახლეში ავტომობილით შესვლისა და დგომის უფლების მქონე პირები არიან:

ა) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე;

ბ) საქართველოს პრეზიდენტი;

გ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

დ) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი;

ე) საქართველოს პარლამენტის წევრები, რომლებზედაც განპიროვნებულია სამსახურებრივი ავტომობილი;

ვ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე;

ზ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე;

თ) საქართველოს მინისტრები და სახელმწიფო მინისტრი;

ი) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

კ) გენერალური აუდიტორი;

ლ) საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

მ) სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსი;

ნ) საქართველოს გენერალური პროკურორი;

ო) საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე;

პ) ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი;

ჟ) საქართველოს თავდაცვის ძალების მეთაური;

რ) საქართველოს სახალხო დამცველი;

ს) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

ტ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

უ) აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

ფ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე;

ქ) საქართველოს პარლამენტის აპარატის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის პროტოკოლის განყოფილების მიერ საპროტოკოლო ღონისძიების ფარგლებში დაშვებული პირები;

ღ) საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი;

ყ) საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი;

შ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;

ჩ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

ც) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი.

მუხლი 3. საქართველოს პარლამენტის კუთვნილი ავტოსადგომით (ქალაქი თბილისი, ტარას შევჩენკოს ქუჩა №1) სარგებლობის უფლების მქონე პირები

1. საქართველოს პარლამენტის კუთვნილი ავტოსადგომით (ქალაქი თბილისი, ტარას შევჩენკოს ქუჩა №1) სარგებლობის უფლების მქონე პირები არიან:

ა) საქართველოს პარლამენტის წევრები, რომლებზედაც განპიროვნებულია სამსახურებრივი ავტომობილი;

ბ) საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლები, რომლებზედაც განპიროვნებულია სამსახურებრივი ავტომობილი.

2. საქართველოს პარლამენტის წევრებს, რომლებზედაც განპიროვნებული არ არის სამსახურებრივი ავტომობილი, უფლება აქვთ, საქართველოს პარლამენტის კუთვნილი ავტოსადგომით ისარგებლონ 1 პირადი ავტომობილისთვის.

3. საქართველოს პარლამენტის აპარატის თანამშრომლებს, რომლებზედაც განპიროვნებული არ არის სამსახურებრივი ავტომობილი, საქართველოს პარლამენტის კუთვნილი ავტოსადგომით სარგებლობის უფლება აქვთ საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსის გადაწყვეტილებით, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით.

მუხლი 4. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის პლენარული სხდომების სივრცეში შესვლის უფლების მქონე პირები

1. საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზის პლენარული სხდომების სივრცეში შესვლის უფლების მქონე პირები არიან:

ა) სახელმწიფო-პოლიტიკური და სხვა სახელმწიფო თანამდებობის პირები, რომლებსაც შეუძლიათ საკუთარი ინიციატივით დაესწრონ საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომას:

ა.ა) საქართველოს პრეზიდენტი;

ა.ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრი;

ა.გ) საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები;

ა.დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და წევრები;

ა.ე) საქართველოს მინისტრები და სახელმწიფო მინისტრი;

ა.ვ) საქართველოს სახალხო დამცველი;

ა.ზ) საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი;

ა.თ) გენერალური აუდიტორი;

ა.ი) საქართველოს გენერალური პროკურორი;

ა.კ) საქართველოს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანი;

ა.ლ) საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი;

ბ) საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული, განსახილველი საკითხის ინიციატორი, მომხსენებელი/თანამომხსენებელი;

გ) საქართველოს პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში შესვლის უფლების მქონე საქართველოს პარლამენტის აპარატის საჯარო მოსამსახურეები:

გ.ა) პარლამენტის აპარატის უფროსი და მისი მოადგილეები;

გ.ბ) პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი და მისი მოადგილე;

გ.გ) პარლამენტის აპარატის დეპარტამენტების უფროსები;

გ.დ) პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატურთუხუცესი და მანდატურები;

გ.ე) პარლამენტის აპარატის იურიდიული დეპარტამენტის კანონპროექტთა სამართლებრივი ექსპერტიზისა და ვიზირების განყოფილების უფროსი;

გ.ვ) პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების უფროსი;

გ.ზ) პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო დეპარტამენტის სტენოგრაფიული განყოფილების უფროსი;

გ.თ) პარლამენტის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ტელეკომუნიკაციების დეპარტამენტის თანამშრომლები;

გ.ი) პარლამენტის აპარატის სხვა თანამშრომლები – სხდომის თავმჯდომარის თანხმობით;

დ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მიერ მოწვეული სტუმრები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2023 წლის 4 სექტემბრის №1/259/23 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს პარლამენტის სასახლეში უსაფრთხოების დაცვის წესის“

დ ა ნ ა რ თ ი №3

საქართველოს პარლამენტის სასახლეში შესასვლელი ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირთა ნუსხა

მუხლი 1. ვიზიტორის ერთ წლამდე ვადის მქონე საშვის გაცემის უფლება

ამ წესის №1 დანართის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ვიზიტორის 1 წლამდე ვადის მქონე საშვის გაცემის უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის თანხმობით.

მუხლი 2. ამ წესის №1 დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირები

ამ წესის №1 დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული ვიზიტორის საშვის დაშვების უფლების მქონე პირები არიან:

ა) მიმდინარე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრები;

ბ) საქართველოს პარლამენტის აპარატის უფროსი და მისი მოადგილეები;

გ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის კაბინეტის უფროსი, მისი მოადგილე და კაბინეტის მიერ წარმოდგენილი 2 თანამშრომელი;

დ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეების, წინა მოწვევის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის (რომელიც ამავე დროს მიმდინარე მოწვევის საქართველოს პარლამენტის წევრია) და საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის სამდივნოების უფროსები და სამდივნოების მიერ წარმოდგენილი თითო თანამშრომელი;

ე) საქართველოს პარლამენტის კომიტეტების აპარატების უფროსები და კომიტეტების აპარატების მიერ წარმოდგენილი თითო თანამშრომელი;

ვ) საქართველოს პარლამენტის აპარატის დეპარტამენტებისა და განყოფილებების უფროსები;

ზ) საქართველოს პარლამენტის აპარატის მანდატურის სამსახურის მანდატურთუხუცესი;

თ) საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრის დირექტორი და კვლევითი ცენტრის მიერ წარმოდგენილი 1 თანამშრომელი;

ი) საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის უფროსი და საბიუჯეტო ოფისის მიერ წარმოდგენილი 1 თანამშრომელი;

კ) საქართველოს პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეების თანაშემწეები;

ლ) საქართველოს პარლამენტის ფრაქციების აპარატებისა და საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფების აპარატების მიერ წარმოდგენილი 2-2 თანამშრომელი.

მუხლი 3. საქართველოს პარლამენტში საექსკურსიო ტურის მონაწილეზე ვიზიტორის საშვის დაშვების უფლება

საქართველოს პარლამენტში საექსკურსიო ტურის მონაწილეზე ვიზიტორის საშვის დაშვების უფლება აქვს საქართველოს პარლამენტის აპარატის

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სამოქალაქო ღონისძიებათა დაგეგმვის განყოფილების უფროსს.